გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №17

2025 წლის 14 თებერვალი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების შპს „ახალი ქსელებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 9 ოქტომბერს (N10/2024283360-20) შემოსულია შპს „ახალი ქსელების“ (ს/ნ 211326732) წერილი, რომელშიც მოთხოვნილია გარე განათების ბოძების იჯარის ფორმით გადაცემა (იჯარის ხელშეკრულებების გაგრძელება), ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით.

აუდიტური კომპანიის მიერ 2025 წლის 28 იანვრის N001/01-ქ გარე განათების კონსტრუქციების (გარე განათების ბოძები - ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით:

1) ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ 66.00.718 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 200,00 (ორასი) ლარით;
2) მშვიდობის გამზირის მიმდებარედ 66.00.1030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 170,00 (ასსამოცდაათი) ლარით;
3) ტყვიავის ქუჩის მიმდებარედ 66.00.815 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 8 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 270,00 (ორას სამოცდაათი) ლარით;
4) ქუთაისის ქუჩის მიმდებარედ 66.00.845 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 170,00 (ას ასსამოცდაათი) ლარით;

5) სტალინის ქუჩის მიმდებარედ 66.00.726 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 170,00 (ასსამოცდაათი) ლარით;
6) სტალინის ქუჩა N13 - ის მიმდებარედ 66.00.656 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 170,00 (ასსამოცდაათი) ლარით;

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული გარე განათების ბოძების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება და მათი დროებითი სარგებლობის უფლებით გაცემა ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნული ქონების, შპს „ახალი ქსელებისთვის" (ს/ნ 211326732) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" და „დ.დ" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს,

ა) ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ 66.00.718 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6 ერთეულ გარე განათების ბოძი;
ბ) მშვიდობის გამზირის მიმდებარედ 66.00.1030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძი;
გ) ტყვიავის ქუჩის მიმდებარედ 66.00.815 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 8 ერთეულ გარე განათების ბოძი;
დ) ქუთაისის ქუჩის მიმდებარედ 66.00.845 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძი;
ე) სტალინის ქუჩის მიმდებარედ 66.00.726 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძი;
ვ) სტალინის ქუჩა N13 - ის მიმდებარედ 66.00.656 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძი;

პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს შპს „ახალ ქსელებს“ (ს/ნ 211326732), ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟის მიზნით.

2. ა) ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ 66.00.718 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 6 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 200,00 (ორასი) ლარით;

ბ) მშვიდობის გამზირის მიმდებარედ 66.00.1030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 170,00 (ასსამოცდაათი) ლარით;

გ) ტყვიავის ქუჩის მიმდებარედ 66.00.815 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 8 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 270,00 (ორას სამოცდაათი) ლარით;

დ) ქუთაისის ქუჩის მიმდებარედ 66.00.845 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 170,00 (ას ასსამოცდაათი) ლარით;

ე) სტალინის ქუჩის მიმდებარედ 66.00.726 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 170,00 (ასსამოცდაათი) ლარით;

ვ) სტალინის ქუჩა N13 - ის მიმდებარედ 66.00.656 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 ერთეულ გარე განათების ბოძზე საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 170,00 (ასსამოცდაათი) ლარით;

3. წლიური საიჯარო ქირა 34 (ოცდათოთხმეტი) ერთეულ გარე განათების ბოძისთვის განისაზღვროს 2040 (ორიათას ორმოცი) ლარის ოდენობით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს ზემოაღნიშნული 34 (ოცდათოთხმეტი) ერთეული გარე განათების ბოძი გადაეცემა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით.

6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც 2 (ორი) კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე